ოთხშაბათი, 9 მაისი 1907 წ.

18

წელიწადი პირველი — № 99

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.

რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. პატარა მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახავს ერთად თვით ქსელურად დიდი წერილები და მოთხრობები. წერილებით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 11 მაისს.

## „ისარი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ

„ისარი“-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს. პირველ მაისიდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც სამ მანეთზე მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 3 მან. 50 კაპ. მეტი.

პირველ მაისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—4 მ. 60 კ. ტფილისს გარედ—5 მ. 30 კ., საზღვარ-გარედ—8 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75, ტფილისს გარედ—80 კაპ, საზღვარ-გარედ—1 მ. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი. სხვა ადგილას—ორი აბაზი.

ექიმი
**ვ. ხ. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ექიმი
**ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—46)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა. (35)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
**მიხეილ გედევანიშვილისა**
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ, სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—106)

ქ. ქუთაისში
**ექიმი დ. ვ. ფანცხავა**
იღებს საბებიო, ქალის და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 8—12 საათ. საღამოობით 5—7 საათამდე. ქარავან-სარაის ქ., სახლი ადამიასი (25—კვ—7)

ქ. ქუთაისში
**ბავშვების ექიმი ბადრიძე**
ავადმყოფებს მიიღებს დილით 9—12, საღამოთი 5—6 საათამდე, პოლიციის ქუჩა, სახლი ციციაშვილისა. (25—ფ.—15)

ექიმი
**კ. ი. ბძელიშვილი**
იღებს **ყურის, ცხვირის** და **ყელის** ავადმყოფებს დილის 12—1 ს. საღამოთი 5—7 ს. ელისაბედის ქუჩა, № 7. სახლი მეწულოვისა. (25—25)

**ქუთაისში**
ექიმი მაჭრიუხოვი.
მიიღებს **შინაგან**, **სიფილისით**, **ვენერიულ** ავადმყოფებს და **ბავშვებს**. **ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** ნახველისა, შარდისა, გონოკოვისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ჭიშკარიდან. (60—ფოს.—2)

## სამკურნალო
**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**
ფასი რჩევისთვის 50 კაპ.
**განქის დიდი ქუჩა, № 5. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.**
ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.
**რუდინკო** — შინაგანი სნეულობანი. კვირას 3—4 ს.
**იანჩევსკი**—ყურის, ყელის და ცხვირის. ოთხ., პარასკ. და სამშ. და კვირას 2—3 ს.
**ვნუკოვი**—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.
**როზმაინსკი**—საბავშვო, ყოველდღე, შაბათისა და კვირის გარდა 4—5 ს.
**ასპიზოვი**—ყურის, ყელისა და ცხვირის. ორშაბ., სამშაბ. და შაბათს 1—2 ს. ხუთშაბათს და კვირას 12—1 ს.
**ხოვიცკი**—ქალისა და ბავშვისა, ყოველდღე, კვირას გარდა 1—2 ს.
**გორბალევიჩი**. შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.
**ნეუმინი**—თვალისა, ორშაბ., ოთხ. პარას. 12—1 საათზე.
**ინაევი**. ქალისა, ყოველ დღე 4—5 ს.
**თეთრაძე**—კანისა და ვენერ. ყოველდღე 1—2 საათზე.
**ზოტოვსკი** — შინაგანი წამლობა ზთაგონებით; ყოველ დღე 4—5 ს.
**მონზე**—ბავშვებისა, სამშაბათს, ხუთშ., შაბათს 4—5 საათზე.
**ექიმი ქალი იოზელიანი**:—ქალ. ორშ., ოთხ., პარ. და კვირ. 11—12 ს.
**პავლოვიცკი**—ქირურგ. ყოველ დღე 12—1 ს.
**გოროზცოვა**.—მასაჟი, ყოველ დღე 11—5 ს.
**ნევზოროვა**—კბილისა, ყოველდღე 11—5 ს. კვირ. 1—3 ს.
**მიკარსკი** / **რუდნოვსკი** — კლინიკური ანალიზი.
კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—83)

## „ტფილისის ლისტოკის“ რედაქციისაგან
გაზეთ „ტფილისის ლისტოკის“ ბეჭდვა გადატანილ იქნა სხვა სტამბაში, რის გამოც შეუძლებელი გახდა ორ ნომრის გამოცემა. შაბათს, 12 მაისიდან, გაზეთი ხელ-ახლა გამოვა. (1—80—1)

## ხ. გ. ხაჩატუროვის
**ელექტრონის სტამბისაგან**
სტამბის დაკეტვის გამო აღარ მიიღება სასტამბო სამუშაოები. წინად შეკვეთილი სამუშაოები სხვა სტამბაში იქნება შესრულებული და თავის დროზე ჩაჰბარდება პატრონებს. (1—81—1)



## ყურადღება!!!
მშრომელ ქალებსა და კაცებს ყოველ დღე 8-დან 4 საათამდე შეუძლიანთ აილონ 1 მ. 50 კ. და მეტიც დღეში, თუ ჩემგან იყიდიან საუცხოვო მსწრაფლ-მქსოვ მაშინებს, რომელთაც საზღვარ-გარედაც დიდი სახელი აქვთ გავარდნილი. ვთხოვ მხოლოდ ყველას, ნუ აურევენ ჩემ მაშინებს სხვა ფირმების მაშინებთან.

ამ მაშინაზე სამუშაოდ წინ და წინვე ცოდნა საჭირო არ არის. მაშინები აქვე გვაქვს. ძაფს მე ვყიდი და დამზადებულ საქონელს ნაღდ ფულად მევე ვყიდულობ აქ. დაწვრილებით ცნობებს სიამოვნებით ვაძლევ ყველას უფასოდ კანტორაში და ვგზავნი ფოსტითაც.

კანტორა მსწრაფლ-მქსოვ მაშინების „როსსია“ ს წარმომადგენლისა კავკასიის და ამიერ-კავკასიისათვის ტფილისში მთავარ ფოსტამტის მეზობლად. ადრესი: Тифлисъ, Троицкая у., д. № 7, по сосѣдству съ главн. почт.-телегр. конторы. (50—73.—7)

## ქუთაისის ქალთა გიმნაზია.
ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ, პირველ, მეორე და მეოთხე კლასებში შესასვლელად და ეგზამენები მოსამზადებელ, პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე კლასის მოწმობის მისაღებად მოხდება ამა წლის 26 მაისს. დაწვრილებითი ცნობები ეგზამენების შესახებ გამოკრულია გიმნაზიის შენობაში.

თხოვნებს ეგზამენების დაჭერის შესახებ საჭირო მოწმობებით (მოწმობანი მეტრიკული, წოდებისა და ყვავილის აცრის შესახებ) მიიღებს გიმნაზიის უფროსი 20 მაისამდე (ამ დღესაც). თხოვნები უმოწმობებოდ განხილული არ იქნება. (3—6—2)

**ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის** სამართველოსთან დაარსებული კერძო კომისია ამით აცხადებს, **რომ 15 მაისს, სამშაბათს დილის 9 საათზე დანიშნულია**

## საჯარო ვაჭრობა
**ხის მასალისა**
სასულიერო სასწავლებლის ეზოში, არქიელის გორაზე. მასალა შეიცავს: ლამფებს, კოჭებს, ფიცრებს, სარტყლებს, გადასაკიდებს, საძირკვლებს, კარებს, ფანჯრებს, ჟესტის სახურავს და სხვა წვრილმალს. ყველა ეს მასალა არჩეული ფიჭვის ხის და წაბლისაა. მასალა გაიყიდება ერთად და ცალ-ცალკეც.

კომისიის თავმჯდომარე ტრიფონ ჯაფარიძე. (10—კვ.—2)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 5—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—98)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**განისა და ვენერიულნი.** დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

## მასწავლებელ ქალთა საზოგადოება
(პუშკინის ქუჩა, № 3, საკრედიტო საზოგადოების სახლი)
**მასწავლებელი ქალები** აძლევენ გაკვეთილებს, ასწავლიან ყველა საგანს, ადგილობრივ და ტფილისს გარედ. (15 - 1)




**გამოჩენილ მეცნიერთა საერთო აზრით, ოდოლი საუკეთესოდ შეეფერება ჰიგიენის ყველა მოთხოვნათ და ამიტომ ითვლება ყველა საშუალებათაგან, რომელნიც კი ახლა იხმარება კბილების გამოსარეცხ-გასაწმენდათ, საუკეთესოდ.**

ერთი ფლაკონი, რამდენიმე თვის სამყოფი, ღირს 1 მ. 50 კ.
(1—№ 14—1) (Метцль и Кº 140316)

## ფინლიანდიის სეიმის გახსნის გამო

### I

დღეს, 9 მაისს, ჰელსინგფორსში იწყება ფინლიანდიის სეიმის სხდომები.

ფინლიანდიის ხალხის გაბედულმა ბრძოლამ და საკვირველმა ერთსულოვნებამ დაუბრუნეს ქვეყანას მე-80 და 90 წლების რეაქციის დროს წართმეული ავტონომია. ფინლიანდიამ არა თუ აღადგინა საკონსტიტუციო თვითმართველობა, დიდი ნაბიჯიც კი გადადგა სახელმწიფო წეს-წყობილების გაუმჯობესობის საქმეში. წინანდელის კონსტიტუციით, მართვა-გამგეობის საქმეს წოდებრივი ხასიათი ჰქონდა; სეიმის წევრთ ირჩევდა ცალკე თითოეული წოდება და ეს გარემოება თვალსაჩინოდ აბრკოლებდა როგორც კანონმდებლობას, ისე, საერთოდ, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა გადემოკრატებას. შარშან, ფინლიანდიის აღდგენილმა წარმომადგენლობითმა დაწესებულებამ სავსებით განაახლა წესწყობილება არა პოლიტიკურის ღონისძიებით, არამედ გაბედულის ნაბიჯის გადადგმით: გააუქმა წოდებრივს პრინციპზე აგებული საარჩევნო კანონი და შემოიღო საყოველთაო არჩევნები, ამასთან უფრო გაუმჯობესებული, ვიდრე სხვაგან სადმე ევროპაში; სახელდობრ, ფინლიანდიამ ქალებსაც მიანიჭა აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება.

ამ დემოკრატიულის წესით მოხდა ახლანდელ სეიმის წევრთა არჩევნებიც და ამიტომ ახლა სხვა სურათი გვეშლება თვალწინ. პირველად ყოვლისა აღსანიშნავია, რომ არჩევნებზე სოციალისტებმა გაიმარჯვეს: არჩეულ იქნა 83 ს.-დემოკრატი (სხვა სოციალისტური პარტია ფინლიანდიაში ამ ჟამად არ არსებობს); შემდეგ, გაძლიერდა დემოკრატიული პარტიებიც—„ახალგაზდა ფინნები“ და შვედომანები; ბოლოს აღსანიშნავია, რომ სეიმში 18 ქალიც იქნა არჩეული, ასე რომ ევროპის საზღვრებში პირველად ფინლიანდიაში ვხედავთ საკანონმდებლო დაწესებულების სკამებზე ქალებს; ფინლიანდიის ხალხმა პირველმა გაჰბედა საუკუნეთა უსამართლობის გასწორება და ნამდვილ დემოკრატიულ ღონისძიების მიღება,—ისეთისა, რომლის განხორციელება უფრო დაწინაურებულ ქვეყნების დემოკრატიებს ვერ მოუხერხებიათ ჯერ... კერძოთ სოციალ-დემოკრატების გამარჯვების შესახებ უნდა ვთქვათ შემდეგი: ყველანი მოწმობენ, რომ ფინლიანდიაში სოციალისტური იდეები მაინცა და მაინც ძლიერად გავრცელებული არაა და ს.-დემოკრატიის გამარჯვება უფრო იმას უნდა მიეწეროს, რომ ხალხი საზოგადო დემოკრატიულის მისწრაფებითა და იდეებითაა გატაცებულიო; ეს მით უფრო უნდა ჩავთვალოთ სიმართლედ, რომ თვით ფინლიანდიის ს.-დემოკრატია უფრო დემოკრატიული პარტიაა, ვიდრე სოციალისტური... საყურადღებო ისაა კიდევ, რომ, როგორც ამბობენ, თვით ფინლიანდიელი სოც.-დემ. მაინცა და მაინც არ არიან თურმე გახარებულნი თავის გამარჯვებით. საქმე ისაა, რომ კონსტიტუციის კანონით მთავრობა უნდა შესდგეს სეიმის უფრო მრავალრიცხოვან პარტიიდან; რადგან ს.-დ. სჭარბობენ რიცხვით ყოველ სხვა პარტიას, ამიტომ სამინისტროც ამ პარტიამ უნდა შეადგინოს, მაგრამ, მეორეს მხრით, ფინლიანდიის ს.-დემოკრატიას არ შეუძლია ბურჟუაზიულს ხანაში მთავრობის შედგენაო. ცოტა არ იყოს უხერხული მდგომარეობაა, თუმცა, შესაძლებელია, ახალგაზდა ფინნები და შვედომანები კოალიციურს სამინისტროს შეადგენენ და ამრიგად იხსნიან ს.-დემოკრატიას გაჭირვებისაგან.

განახლებული სეიმი აპირებს შეუდგეს დიდ მნიშვნელოვან სოციალურსა და პოლიტიკურს რეფორმებს. ისედაც კულტურული ფინლიანდია ახალ განახლების ხანის წინაშე სდგას და ამიტომ ეხლა მთელი ევროპა არა ჩვეულებრივის ინტერესით ადევნებს თვალ-ყურს ამ ქვეყნის ცხოვრების ევოლიუციას.

### II

რუსეთშიაც არის ერთი ბედნიერი კუთხე. ბედნიერი არა ბუნებრივის სიმდიდრით, არა მომხიბლავის სილამაზით, არამედ კულტურით. ეს კუთხე—ფინლიანდიაა. იქ დღეს კულტურა თავის გამარჯვებას დღესასწაულობს. გამარჯვებას მტარვალობაზე და ცენტრალიზ ზე.

ფინლიანდია რუსეთის იმპერიის ნაწილია. ჩვენს ქვეყანასავით ერთი საუკუნის წინად შეუერთა იგი ისტორიამ რუსეთს ან, უკეთ რომ ვთქვათ, რუსეთის ტახტს. როგორც საქართველოს, ფინლიანდიასაც აღუთქვეს მაშინ რუსეთის გვირგვინოსნებმა შინაურ წყობილების ხელ-შეუხებლობა. მაგრამ უკულტურო საქართველომ შესაფერი დარაჯობა ვერ გაუწია თავის მდგომარეობას და მალე ავტონომიურ ერთეულისაგან რუსეთის ერთ-ერთ ათვალწუნებულ გუბერნიად გადაიქცა, ფინლიანდია კი მთელი საუკუნე ფხიზლად სდარაჯობდა თავის უფლებებს და იმის მამულიშვილთა სიმტკიცეზე ირღვეოდა ყოველი მეცადინეობა ოფიციალურ რუსეთისა ამ ქვეყნის თავისებურობის ასალაგმავად. მართალია, ძლიერი რუსეთი ხელოვნურად აფერხებდა ფინლიანდიის პოლიტიკურ დაწესებულებათა განვითარებას და გასულ საუკუნის მიწურულში უკვე თავისი ეკლიანი და ღვარძლიანი ხელი დაატრიალა ფინლიანდიის თავისუფლებისთვის ანდერძის ასაგებად, მაგრამ ფინნები ძალას არ შეუშინდნენ. მთელი ხალხი ერთი მიზნით, ერთი მისწრაფებით შეკრობილ იქმნა და ეს ერთსულოვნება ერთი მუჭა ხალხისა ისეთს ზნეობრივს ძალას წარმოადგენდა, რომელსაც პეტერბურგის ბიუროკრატიაც კი თვალს პირდაპირ ვერ უსწორებდა. გარეგნულად ფინნები რუსეთის ძალას დაემორჩილნენ, მაგრამ მთელი მათი შინაგანი არსება ღრმად აღშფოთებული იყო და მხოლოდ დროს ელოდნენ თავისი აღშფოთება ნაყოფიერ მოქმედებად გადაექციათ.

ეს დროც მალე დადგა. 1904 წელს იაპონიის გამარჯვების შემდეგ მთელს რუსეთში განმათავისუფლებელ მოძრაობის დუღილი დაიწყო. ფინნებმა მოხერხებული დრო ნახეს და წელში გასწორდნენ. პეტერბურგში უცნაური დაუჯერებელი ხმები გავრცელდა: ფინლიანდია რუსეთთან საომრად ემზადებაო. ფინლიანდიის განადგურების მოტრფიალენი გულ-უხვად სთესავდნენ ხმას, მთელი ფინლიანდია ერთს მეომარ ბანაკს წარმოადგენს და ისე მტკიცედ არის გამაგრებული, რომ თუ მას ეხლავე რუსის ჯარი არ შეესია, მალე დაგვიანდება და მაშინ ვეღარავინ რას დააკლებსო. ფინლიანდიაში ამოხეთქილი ეროვნული გრძნობის ნაკადული პეტერბურგში ძველი რეჟიმის დამცველებს ომის გამოცხადებათ მოეჩვენათ; ნამდვილად კი ფინნებს მხოლოდ ის უნდოდათ, რომ აღედგინათ და უზრუნველ ეყოთ თავისი ისტორიული და ბუნებრივი უფლება შინაურ საქმეებში ცენტრისაგან დამოუკიდებლივ მოქმედებისა. ფინნებმა თითონ აცნობეს პეტერბურგის მთავრობას თავისი გულის-წადილი, რაც შემდეგ თვით ფინლიანდიაში მცხოვრებმა რუსის მოხელეებმაც დაამოწმეს.

ეს ის დრო იყო, როცა ძველი რეჟიმი პირველად შეირყა და დათმობის გზაზე დადგა. ფინნების ერთსულოვანება და ზნეობრივი ძალა მეტად მტკიცე იყო, რომ დახავსებულ ბიუროკრატიას იმისი დაძლევა შესძლებოდა. ფინლიანდიამ თავისი მიზანი აისრულა. იმისი უფლებები აღდგენილ იქმნა. ფინლიანდიის სეიმს გზა გაეხსნა თავის ქვეყნის პოლიტიკურ დაწესებულებათა გასავითარებლად და შეიმუშავა ახალი კანონი სახალხო წარმომადგენლობისა. წარმომადგენლები უნდა აერჩიათ ფინლიანდიის მცხოვრებლებს სქესის და ეროვნების განურჩევლად, საყოველთაო, თანასწორის, პირდაპირის და ფარულის საარჩევნო სისტემით. ამ კანონის ძალით მთელს ევროპაში პირველად ფინლიანდიის ქალებმა მიიღეს მონაწილეობა საპოლიტიკო არჩევნებში. ეხლა ეს არჩევნები დასრულებულია და დღეს ფინლიანდიაში ახალი პარლამენტი იხსნება.

რუსეთის ძველი რეჟიმი უკვე კაი ხანია გამწარებული ებრძვის რევოლიუციას იმ უფლებათა უკან წასაღებად, რომელიც ოქტომბერში დასთმო მან ხალხის სასარგებლოდ. საომარ და გაძლიერებულ დაცვის წესების მეოხებით რუსეთის ეხლანდელი ცხოვრება იმაზე ნაკლებ შებორკილილი არ არის, როგორც ოქტომბრის მანიფესტამდე იყო. მთელს რუსეთის იმპერიაში მხოლოდ ფინლიანდია დარჩა ისეთ კუთხედ, სადაც რეაქციამ ვერაფრით ფეხი ვერ მოიკიდა და სადაც დემოკრატიული მმართველობა მარტო ქაღალდზე კი არა სწერია, ნამდვილად არსებობს. კულტურამ და თვითმმართველობამ დაიფარა ფინლიანდია რეაქციისაგან. კულტურამ და თვითმმართველობამ გაუხსნა გზა ფინლიანდიაში ქალებს საპოლიტიკო სარბიელზე მოღვაწეობისთვის. იმ პარლამენტში, რომელიც დღეს იხსნება, რამდენიმე ქალიც ურევია. კულტურამ და თვითმმართველობამ მოახდინა ის, რომ საკანონმდებლო დაწესებულების უდიდესი პარტია ფინლიანდიაში სოციალისტური პარტიაა. ფინლიანდიის სოციალისტურ პარტიებზე არავის რა ესმოდა, ეს პარტიები აქამდე უმთავრესად თავის პოლიტიკურ პროგრამის განსახორციელებლად მუშაობდნენ, მაგრამ ეხლა კი მათ თავისი სოციალური პროგრამა წამოაყენეს წინ და ეხლა ფინლიანდიის პარლამენტში უდიდესი პარტია სოციალ დემოკრატიული პარტიაა. ამ მხრივაც კულტურამ და თვითმმართველობამ ფინლიანდია ევროპის ყველა სხვა ქვეყნებზე წინ დააყენა.

## ს.-დემოკრატიულ „კომუნალურ პროგრამის“ გამო.

„ლახვარში“ დაბეჭდილია „კომუნალური პროგრამა“, რომელიც შეუმუშავებია ტფილისის სოც.-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციას. სახელი „კომუნალური პროგრამა“ საკმაოდ ნათლად ვერ გამოხატავს იმის შინაარს, რაც საქალაქო თვითმართველობის შესახებ ს. დ. ორგანიზაციას დაუდგენია. ეს იმდენად პროგრამა არაა, რამდენადაც წესდების ძირითადი მუხლები. აქ უფრო ის პრინციპებია ჩამოთვლილი, რომლებზედაც ქალაქის თვითმართველობა უნდა დამყაროს. ვიდრე ის პოლიტიკა, რომლის წარმოებასაც საჭიროდ სთვლიან ს.-დემოკრატები თვითმმართველობაში.

ზოგი ნაწილი პროგრამისა საკმაოდ განვითარებულია, მაგრამ უდიდესი ნაწილი კი ზოგად ფრაზებს ვერ გადასცდენია. პროგრამის პირველი მუხლი, მაგ., პროპორციონალურ წარმომადგენლობას მოითხოვს, მაგრამ სრულიად გამორკვეული არ არის, რა გვარ პროპორციონალობაზეა ლაპარაკი. უამისოდ კი თვით მოთხოვნას შინაარსი არ უჩანს. ტფილისში ბევრს ლაპარაკობენ ნაციონალურ პროპორციონალობაზე, ხშირად ლაპარაკობენ პარტიულ პროპორციონალობაზე, ზოგჯერ კი იმ პროპორციონალობაზედაც ჩამოაგდებენ ხოლმე სიტყვას, რომელიც არსებითად კლასიურ წარმომადგენლობას იგულისხმებს. თეორიულად პროპორციონალური არჩევნები უფრო სამართლიანია—ეს არავისთვის საეჭვო არ არის, მაგრამ იმაზედ, თუ რა სისტემა დაედება საფუძვლად პროპორციონალობას, დამოკიდებულია ისიც, სამართლიანობას ანხორციელებს პროპორციონალური წარმომადგენლობა, თუ სამართლიანობას უფრო არღვევს. საგულისხმოა, რომ ს.-დემოკრატები პროპორციონალურ **წარმომადგენლობაზე** ლაპარაკობენ თავის „კომუნალურ პროგრამაში“ და არა **არჩევნებზე.** მაგრამ ეს შეიძლება უბრალო lapsus linguae იყოს.

ქალაქის თვითმართველობაში, რა თქმა უნდა, მონაწილეობის უფლება უნდა ჰქონდეს ყველას, ვინც კი დაინტერესებულია ქალაქის მდგომარეობით და ადგილობრივ ცხოვრების პირობებით. ამ პრინციპის მიხედვით საარჩევნო ქონებრივი ცენზი—ყოვლად შეუწყნარებელია, მაგრამ არა გვგონია შესაწყნარებელი იყოს უარყოფა ბინადრობის ცენზისა. „პროგრამა“ თხოულობს, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება „არ განისაზღვრებოდეს ერთ ადგილზე განსაზღვრულ ვადიან ცხოვრებით“. ასეთი მუხლი საარჩევნო კანონისა პრაქტიკულად ქალაქის საქმეებს იმ პარტიას ჩაუგდებს ხელში, რომელიც უფრო მდიდარია და რომელსაც უფრო მეტი ფული მოეძებნება კასაში. მდიდარ ბურჟუაზიულ პარტიებს არ გაუჭირდებათ სრულიად უცხო ადგილებიდან მიიყვანონ ხალხი არჩევნების დროს კენჭის ჩასაგდებად და მათი დახმარებით თვითმართველობას სათავეში მოექცნენ, თუნდაც ადგილობრივ ამ პარტიას უფრო ნაკლები თანაგრძნობი ჰყავდეს, ვიდრე სხვებს. სოციალ-დემოკრატებს, უეჭველია, სულ სხვა მოსაზრება ექნებოდათ მხედველობაში, სახელდობრ ის, რომ მუშები ხშირად იძულებულნი არიან ერთი ქალაქიდან მეორეში გაემგზავრნენ სამუშაოს საშოვნელად; ეს მოსაზრება თავის თავად საკმაოდ საფუძვლიანია, მაგრამ თუ ამის გამო ბინადრობის ცენზი უარყოფილ იქნა, უეჭველია ასეთი კანონით უფრო ბურჟუაზია ისარგებლებს, ვიდრე მუშა ხალხი. მუშა და შემთხვევითი მცხოვრები ერთი და იგივე არაა; გარდა ამისა, მუშა ხალხი არც ისე ხშირად იცვლის თავის ბინას, რომ მას ბინადრობის ცენზისა ეშინოდეს. მუშა ხალხის ბოგანო ცხოვრება უფრო ბურჟუების მოგონილია, ვიდრე ნამდვილი ფაქტი. დიდი უმრავლესობა მუშა ხალხისა ქალაქის მკვიდრი მცხოვრებია და არა სხვა ადგილებიდან დროებით მოსული სტუმარი. ამიტომ, ჩვენის ფიქრით, მუშების ინტერესი სრულიად ბინადრობის ცენზის უარყოფას არ თხოულობს.

საინტერესოა, რომ სოციალ დემოკრატების პროგრამით „ქალაქის სამმართველო ცენტრალურ მთავრობიდან არ უნდა იყოს დამოკიდებული“. ცენტრალიზმის ჩვენებური პრინციპიალური დამცველნი ცენტრალურ მთავრობისაგან დამოუკიდებლობას თხოულობენ ქალაქებისთვის! ქალაქის საბჭოს **კანონმდებლობითი ფუნქციები** უნდა ეკუთვნოდესო. ესეც ძალიან საგულისხმო მოთხოვნაა ჩვენი სოციალ დემოკრატებისთვის. დამოუკიდებლობა და კანონმდებლობა ადგილობრივ წარმომადგენლობით დაწესებულებათა სოციალ-დემოკრატებს ყოველთვის ათვალწუნებული ჰქონდათ, ეხლა კი თითონვე თხოულობენ ორთავეს. შეგვიძლიან მიულოცოთ გამოფხიზლება! საკვირველია მხოლოდ, რატომ მარტო ქალაქის საბჭოებს და სამმართველოებს მოუხდებათ დამოუკიდებლობა და კანონმდებლობა, და არა ყველა ტერიტორიალურ ერთეულს.

„პროგრამა“ პრინციპიალურად მუნიციპალიტეტების დამოუკიდებლობას და კანონმდებლობას თხოულობს, მაგრამ ამ ცნებათა შინაარს არ იძიებს დაწვრილებით. ასეთი გამოძიება კი ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებისთვის ურიგო არ იქნებოდა. იქნება სავსებით ცენტრალიზმის მავნე მხარეებიც დაენახათ და იმისი საყოველთაო შეზღუდვის საჭიროებაც ეგრძნოთ.

„პროგრამის“ მუხლების ცალ ცალად განხილვას არ გამოვუდგებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ აქ ბევრი რამ ჩასამატებელია, ბევრიც გამოსაკლებია. საფინანსო ნაწილი, მაგ., სრულიად შეუმუშავებელია. გადასახადები ეწერება უძრავ ქონებას და ძვირფას ნივთეულობას, მაგრამ სამრეწველო და საქარხნო დაწესებულებას კი არა. რატომ?—უეჭველია, იმიტომ რომ, სოციალ დემოკრატებს ქარხნები და ფაბრიკები „პროგრამის“ დაწერის დროს არ მოჰგონებიათ. ბინის გადასახადიც არა სჩანს—ალბად, ესეც შემთხვევით. სახელმწიფო და საქალაქო გადასახადების ურთიერთობაზე ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი, პრაქტიკულად კი ეს მეტად რთული და მძიმე საკითხია.

საავადმყოფოებს თვით საავადმყოფოს ექიმები და მოსამსახურენი განაგებენო. არა გვგონია, ასეთი პრინციპი შესაწყნარებელი იყოს. ვინ დადგება თავდებად, რომ ექიმები და მოსამსახურენი თავის შრომის შესამსუბუქებლად ავადმყოფობისადმი გულცივობას და უყურადღებობას არ გამოიჩენენ. ეს და კიდევ მრავალი სხვა მუხლები „პროგრამისა“ ხელახლა გადაშინჯვას და შედგენას ითხოვენ.

## სათათბირო და საბჭო

(სააგენტოს დეპეშები)

**სახ სათათბიროს სხდომა** 7 მაისს სხდომა დაიწყო გოლოვინის თავმჯდომარეობით. ს.-დემოკრატები, ს.-რევოლიუციონერები, სახალხო სოციალისტები და შრომის ჯგუფის წევრნი არ დაესწრნენ. წაიკითხეს 33 წევრის მიერ შეტანილი შეკითხვა შინაგან საქმეთა მინისტრისადმი. მინისტრს ეკითხებიან: მართალია თუ არა გავრცელებული ხმები, ვითომ ხელმწიფის სიკვდილი განეზრახოთო. შეკითხვა გრაფ ბობრინსკიმ დაასაბუთა.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა: თუმცა სათათბიროს თავმჯდომარის მიერ გამოცხადებული შეკითხვა ისეთ დარგისაა, რომ მთავრობას უფლება აქვს ამაზე პასუხი არ გასცეს, მაგრამ, გვესმის რა სათათბიროს წევრების აღშფოთებული სულიერი მდგომარეობა მისი უდიდებულესობის სადმრთო პიროვნების მოკვლის განზრახვის გაგონებაზე, ვალად ვრაცხთ გამოვაცხადოთ ამ საქმის შესახებ მთავრობის ცნობა, რომელიც დღეს გამოქვეყნებული იქნება „პეტერ. დეპეშათა სააგენტოს“ და „ოსვეტ. ბიუროს“ ბიულეტენებშიო.

შემდეგ სათათბიროს თავმჯდომარემ წაიკითხა მორიგ საქმეებზე გადასასვლელი ფორმულა: „ხელმწიფე-იმპერატორის მოსალოდნელ განსაცდელისაგან გადარჩენის გამო გულწრფელის სიხარულით გარემოცული სათათბირო, უცხადებს რა ღრმა გულის წყრომას გამოაშკარავებულ საზიზღარ განზრახვას, გადადის მორიგ საქმეებზე.“

სათათბიროს წევრმა რეინმაკ წაიკითხა მემარჯვენეთა მიერ შემუშავებული ფორმულა განცხადება შემოიტანეს, რომ ფორმულის შესახებ შესათანხმებლად სხდომა შესწყდეს, მაგრამ იგი უარყოფილ იქნა. მიიღეს პირველი ფორმულა, რომელსაც ტაშის ცემით მიეგებნენ. 2 საათსა და 35 წუთზე სათათბირო მორიგ საქმეებზე გადავიდა. მემარცხენენიც ცოტ-ცოტად მოგროვდნენ.

გრაფ ბობრინსკი. ამ ბოლოს დროს საზღვარგარეთელ და ზოგგან რუსულ გაზეთებშიაც საშიში ცნობები იბეჭდება, ვითომ ხელმწიფე იმპერატორის წინააღმდეგ შეთქმულობა ყოფილიყოს განზრახული. ასეთ ცნობების შემდეგ ჩვენ, სათათბიროს წევრებს, არ შეგვეძლო მთავრობას არ შევკითხებოდით, რადგან ტახტის უზრუნველ-ყოფა და მთელი რუსეთის უზრუნველ-ყოფა ერთი და იგივეა. ჩვენ მოვალენი ვართ ორივეს ვემსახუროთ. თუმცა კანონი ნებას არ გვაძლევს შევეკითხოთ ამის შესახებ მთავრობას, მაგრამ როგორც მე, ისე ჩემი ამხანაგები ვფიქრობთ, რომ სათათბიროს მოქმედება მუდამ მიმართული უნდა იყოს რუსეთის იმპერატორის ტახტის განდიდებისაკენ და მასთან განუყრელ რუსის ხალხის კეთილდღეობისაკენ. ამიტომ საკანონმდებლო მოღვაწეობა მჭიდროდ შეკავშირებულია ხელმწიფის პიროვნების უზრუნველ-ყოფასთან, რადგან უხელმწიფოდ რუსეთის არსებობა არ შეიძლება. თუმცა შეკითხვა ზოგიერთმა და მემარჯვენე დეპუტატებმა შემოიტანეს, მაგრამ სურვილია ამ საქმეს უპარტიო ხასიათი მიეცეს. ხელმწიფის სახელის გაგონებაზე, რომელსაც მწარე სიკვდილი მოელოდა და იმ დიად განსაცდელის წინაშე, რომელიც შავი ყორანივით თავს დასტრიალებდა სამშობლოს, უნდა დადუმდეს პარტიული სხვა და სხვაობა. ერთხმად უნდა გამოვაცხადოთ, თუ როგორ უყურებს ბოროტ-მოქმედებას სახ. სათათბირო. ხელმწიფეს კი წრფელის გულით განვუცხადოთ ჩვენი სიყვარული და ერთგულობა (ტაში).

**სტოლიპინი.** ჩვენ ფიქრადაც არ მოგვდიოდა, რომ მკვლელები გაუბედავდნენ ხელით შეხებას იმას, ვინც წარმოადგენს რუსეთის განხორციელებულ პატიოსნებასა და ძლიერებას, იმას, რომელმაც მიანიჭა რუსეთს სახალხო წარმომადგენლობა. ხოლო, ბატონებო, ჩვენ ძლიერ შევცდით: აღმოჩნდა, რომ ადამიანის ბოროტებას საზღვარი არა აქვს, არა აქვს საზღვარი ფათერაკის იმ უფსკრულს, საიდაც აგდებს გამხეცებულ ადამიანს სიყალბისა და მძულვარების ანგელოზი. ახალი ბრუნვა, ახალი საზარელი სულის მღელვარება შეემატა ისედაც უკუღმართობით აღსავსე ჩვენ დროებას. ხელითა და გონებით უნდა დავიცვათ ჩვენი ხელმწიფის მყუდროება. ხოლო დიად ეროვნებათ იციან მრისხანე ქარიშხალის ატანა. ხელმწიფე დაიცავს თავის რუსეთს და რუსეთი დაიცავს თავის ხელმწიფეს. ვეცადოთ გულმშვიდად მოვასმინოთ ცნობები, რომელთაც გადმოგვცემს მთავრობა და დავიცვათ იმპერატორის ნიკოლოზ მე-II ს ძირითადი კანონები; ხოლო ამ დიდ-მნიშვნელოვან წუთში გამოსთქვას რუსეთში მოსახლე ყველა ერმა და თემმა, არა ერთისა, არამედ სხვა და-სხვა ენით, ერთგულება ჩვენი ხელმწიფის მიმართ, სიხარული მკვლელთა ხელიდან იმის გადარჩენის გამო და ზიზღი იმ მოძალადეთა მიმართ, რომელთაც, როგორც სჩანს, არ ეყოთ 1881 წ. პირველ მარტის სირცხვილი და ფათერაკი. დღემდის ჩვენ ვხედავდით, როგორ მამაცად იღუპებოდნენ მკვლელ-რევოლიუციონერების ხელისაგან ჩვენი ხელმწიფის ერთგული მსახურნი. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ სათათბიროს წევრნი აღშფოთებულნი არიან იმის გამო, თუ რამდენად უზრუნველყოფილია ხელმწიფის პიროვნება. სათათბიროს დასამშვიდებლად გამოვაცხადებ იმ ცნობას, რომელიც დღეს გადაეცემა ცნობათა შემკრებ ბიუროს და დაიბეჭდება პეტერბურგის სააგენტოს დეპეშებში. (იხ. ქვემოდ).

ფორმულის მიღების შემდეგ, წაიკითხეს სახ. საბჭოს თავმჯდომარის ქაღალდი იმის შესახებ, რომ საბჭომ არ შეიწყნარა კანონ-პროექტი სამხედრო საველე სასამართლოების გაუქმების შესახებ. წაიკითხეს სხვა და სხვა შეკითხვა. წაიკითხეს აგრეთვე შეკითხვა ს.-დემოკრატიულ ფრაქციისა დეპუტატ ოზოლის ბინის გაჩხრეკის შესახებ.

# ფელეტონი

## ფედერალიზმი და სოციალისტური პოლიტიკა

ლ. კულჩიცკისა

(შემდეგი *)

ჩვენ ვთქვით, რომ ის თეორია, ვითომ კაპიტალიზმის განვითარებას თან მოსდევს სახელმწიფო დაწესებულებათა ცენტრალიზაციაო, უარყოფილ იქმნა ჩრდილოეთ ამერიკისა, შვეიცარიისა და გერმანიის პოლიტიკურ ურთიერთობის ევოლიუციის მიერ. საოცარის სისწრაფით განვითარებული კაპიტალიზმი ოდნავადაც არ უშლის ხელს ამერიკის ფედერატიულ წყობილებას, რომელიც ას წელიწადზე მეტია რაც არსებობს, და არც ასეთი წყობილება უშლის ხელს კაპიტალიზმის განვითარებას. ცხოვრებამ მოითხოვა და ამერიკელებმაც შეიტანეს კონსტიტუციაში ზოგიერთი ცვლილება, რომელიც არ ეწინააღმდეგება ფედერალიზმის პრინციპებს. ცოტაოდენი ცენტრალისტური ტენდენცია ეტყობა მხოლოდ სავაჭრო-საგზაო კანონმდებლობას, მაგრამ ეს კაპიტალისტურ სახელმწიფოში სრულებით ბუნებრივი მოვლენაა და სავსებით ეთანხმება ფედერაციასაც, მაგრამ ფედერატიული წყობილება არა თუ არ შეიცვალა ამ ქვეყანაში, არამედ იმის ნიშნებიც არა სჩანს, რომ მომავალში მაინც შეიცვლებოდეს ასეთი წყობილება. ჩრდილოეთ ამერიკაში არა თუ არც ერთი პარტია არ თხოულობს ფედერაციის გაუქმებას და ცენტრალიზმის დამყარებას, არამედ ასეთ ცვლილებას არ ემხრობა არც ერთი ცოტად თუ ბევრად ცნობილი პუბლიცისტი, სახელმწიფო მეცნიერების თეორეტიკოსი, მოაზრე და პოლიტიკოსი.

შვეიცარიის კონსტიტუცია შეცვლილ იქმნა მე-XIX საუკუნეში და ამ ჟამად შვეიცარიაში სრული ფედერაცია არის განხორციელებული, წინად კი იგი უფრო კონფედერაციას ჰგავდა, ვიდრე ფედერაციას. წინანდელი თავისუფალი კავშირი ხელს არ უწყობდა და არ ეთანხმებოდა კაპიტალიზმის განვითარებას, მაგრამ ეხლანდელი ფედერაცია დამყარებულია შემდეგ ორ პრინციპზე: სრული შინაური დამოუკიდებლობა სახელმწიფო ტერიტორიებისა, რომელნიც ფედერაციას შეადგენენ, საერთო ცენტრალურ მთავრობით და საერთო, საზოგადო კანონმდებლობა ისეთ საქმეებისა, რომელნიც მთელ სახელმწიფოს შეეხებიან.

უკანასკნელ რამდენიმე ათეულ წლის განმავლობაში შვეიცარიის პოლიტიკურ ცხოვრებას არ წამოუყენებია არც ერთი ცენტრალისტური მისწრაფება, რომელიც შვეიცარიის ცენტრალისტურად მოწყობას თხოულობდეს.

გერმანიაც ფედერატიული სახელმწიფოა, მაგრამ იგი არ არის ისეთი წმინდა ტიპისა, როგორც შვეიცარია და ჩრდილოეთ ამერიკის რესპუბლიკა, რადგან გერმანიის ოლქებისა და ტერიტორიებს თანასწორი უფლებანი არა აქვთ და ერთ მათგანს—პრუსიას—სხვებთან შედარებით უპირატესობა აქვს მინიჭებული. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ გერმანია ისეთი სახელმწიფოა, რომელიც ცოტათ თუ ბევრად ერთ ეროვნებით არის დასახლებული. 60 მილიონ მცხოვრებიდან მხოლოდ 4 მილიონია პოლონელი, დანიელი, ლიტველი, ფრანგი და სერბი. გერმანიაში რიცხვი საზოგადო სახელმწიფო საქმეებისა უფრო მეტია, ვიდრე ამერიკის რესპუბლიკაში, სადაც არ არის საზოგადო სამოქალაქო და სისხლის სამართლის დებულება, გერმანიაში კი არის აგრეთვე ისეთი მიმართულება, რომელიც თხოულობს, რომ გერმანიის ცალკე სახელმწიფოებს ჩამოერთვას ზოგიერთი საქმეები და გადაეცეს ცენტრალურ პარლამენტს. რეალურად ამ მიმართულებას სამისო ნაყოფი ვერ გამოუღია, რადგან ცალ-ცალკე სახელმწიფოები თავიანთ შინაურ საქმეებში სრულიად დამოუკიდებელნი არიან და ამ უფლებას აგრე ადვილად არ დასთმობენ.

სამხრეთ ამერიკისა, კანადასა, ახალ ზელანდიასა და ავსტრალიაში ჩვენ ვხედავთ ფედერალიზმის სრულს გამარჯვებას. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მან მოიპოვა მოქალაქობრივი უფლება არა მარტო იმიტომ, რომ იგი საუკეთესო ფორმაა სახელმწიფო ტერიტორიათა კავშირისა (მაგალითად, კოლონიალურ ტერიტორიებისა და კანადასა და ავსტრალიაში, რომელნიც აქამდის ცალ-ცალკე არსებობდნენ), არამედ იმიტომაც, რომ იგი არის ამავე დროს ორგანიზაცია ოლქებისა, რომელნიც ერთ მთლიან სხეულს შეადგენდნენ (მაგალითად, სამხრეთი ამერიკა).

ფედერატიულ-დეცენტრალისტურმა მიმართულებამ უკანასკნელ ხანებში თავი იჩინა აგრეთვე ესპანიის პროვინცია კატალონიაში, რომელიც თხოულობს სრულს შინაურ დამოუკიდებლობას, რადგან მისი საზოგადოებრივი ურთიერთობა უფრო უწყობს ხელს პროგრესსა და დემოკრატიას, ვიდრე ასეთივე ურთიერთობა მთელ ესპანიაში.

ეხლა ცხადია, რომ ავტონომიური და ფედერატიული წყობილება ხელს კი არ უშლის თანამედროვე კაპიტალისტურ განვითარებას, არამედ, პირიქით, სავსებით ეთანხმება მას. ზემოდ დასახელებული ფაქტები და მაგალითები ცხადად ამტკიცებენ ამას და არავითარი მიხვევ-მოხვევა და საკითხის არევ-დარევით კი არ შეიძლება იმ დასკვნის უარყოფა, რომელიც აქედან გამომდინარეობს. ამ შეხედულების მოწინააღმდეგენი თუ ამტკიცებენ რასმეს, ისიც მხოლოდ თავიანთ უმეცრებასა და უვიცობას სახელმწიფო და იურიდიულ მეცნიერებაში, რაიც უფრო იმით აიხსნება, რომ მათ დღემდისაც ვერ გაურჩევიათ ერთმანეთისგან პირადი და რეალური უნია ფედერაციისაგან.

იმ აზრის დამტკიცება, რომ ფედერალიზმი სრულიად ხელს არ უშლის კაპიტალიზმის განვითარებას, ადვილად შეიძლება აგრეთვე წმინდა აბსტრაქტიულ აზროვნებითაც. კაპიტალიზმი თხოულობს სახელმწიფოს სამეურნეო მთლიანობას, ე. ი. შინაურ ვაჭრობის თავისუფლებას, რკინის გზების ერთნაირობას, შინაურ და გარეგნულ ორგანიზაციის სიმტკიცე სიმაგრეს და სხ. რაც შეეხება სახელმწიფოს სხვა და სხვა კუთხეში სხვა და სხვა საფაბრიკო კანონმდებლობას, მართვა-გამგეობისა და განათლების სისტემათა სხვა და სხვაობას, აგრეთვე სასამართლოს სხვა და სხვანაირად მოწყობასა და სამოქალაქო და სისხლის სამართლის დებულებათა მრავალფეროვნებას—ეს კაპიტალიზმისთვის სულ ერთია. პოლონეთსა და რუსეთში კაპიტალიზმს არაფერიც არ წაუგია იმის გამო, რომ პოლონეთში სხვანაირი სამოქალაქო დებულება არის შემოღებული და რუსეთში კი—სხვა. როგორც ვნახეთ, ცენტრალიზაცია და კაპიტალი ხელიხელ გადაბმული ვითარდებოდნენ. სახელმწიფოში მისი გამომხატველი იყო მონარქია, რომელიც ყოველთვის ხელმძღვანელობდა არა მთელ საზოგადოების ინტერესით, არამედ დინასტიისა და იმ საზოგადოებრივ ჯგუფების ინტერესით, რომელნიც მას ემორჩილებოდნენ და ზურგს უმაგრებდნენ. მონარქია ცდილობდა სახელმწიფოს ტერიტორიის გადიდებას და ქვეშევრდომთა მომატებას და სულ არაფერს ფიქრობდა იმის შესახებ, თუ რა იქნებოდა ასეთი სახელმწიფო: ორგანიული თუ მექანიკური სხეული. ყოვლად ძლიერი ცენტრალური სახელმწიფო ცდილობდა ყველაფერი ისე ჩაეგდო ხელში, რომ მისდა დამოუკიდებლად არაფერი არ განვითარებულიყო. ამას ის მოჰყვა, რომ ცენტრალიზაციამ უფრო ღრმად შეტოპა, ვიდრე საჭირო იყო სახელმწიფო მეურნეობისთვის.

საშუალო საუკუნოების პარტიკულიარიზმი კაპიტალიზმის ევოლიუციას არ შეეფერებოდა, თანამედროვე ფედერალიზმი კი სავსებით შეეფერება მას, რადგან იგი სახელმწიფოში ისეთ საზოგადო განსაზღვრულ პირობებს ჰქმნის, რომელიც საჭიროა ეკონომიურ ცხოვრებისთვის და რომლის გარეშე სახელმწიფოს ყოველ ცალკე კუთხეს თავისუფლად შეუძლიან მოაწყოს თავის საზოგადოებრივი ცხოვრება.

ჩვენ ვხედავთ, რომ ფედერალიზმს ყველაზე მეტი გასავალი აქვს ამერიკაში. ეხლა ვიკითხოთ, ეს უბრალო შემთხვევა არის, თუ მას სხვა მიზეზებიც აქვს.

თვითპყრობელურ სახელმწიფოების გარდაქმნას კონსტიტუციონურად და მათ დემოკრატიზაციას თან მისდევდა ის აუცილებელი მოვლენა, რომ საზოგადოებრივ სახელმწიფო ცხოვრებასა და მართვა-გამგეობაში თან და თან უფრო მეტი ხალხი იღებდა მონაწილეობას. ყოველ ასეთ სახელმწიფოში ერთი მხრით ყოველი მოქალაქე თან და თან უფრო მეტს მოქალაქობრივ უფლებებს იძენდა, მეორე მხრით კი სახელმწიფოს ყოველი ოლ-

*) იხ. „ისარი“ № 95

**მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სტოლიპინმა** სთქვა: მე არ მინდოდა დღეს ამ საგანზე ლაპარაკი და არც მოველოდი შეკითხვას. მაგრამ, როგორც პოლიციის უფროსს მთელ სახელმწიფოში, არ შემიძლიან ორიოდე სიტყვა არა ვთქვა პოლიციელების დასაცველად. რამდენადაც მე ვიცი, საქმე ასე მომხდარა: პეტერბურგის პოლიციამ გაიგო, რომ ნევსკის ქუჩაზე იკრიბება ცენტრალური რევოლიუციონური კომიტეტი, რომელსაც კავშირი აქვს სამხედრო ორგანიზაციასთან. ამ შემთხვევაში პოლიციას არ შეეძლო არ შესულიყო ბინაზე და არ გაეჩხრიკა იგი. არ დაივიწყოთ, რომ პეტერბურგში საგანგებო დაცვის წესებია და საქმეც საგანგებო იყო. ამ რიგად, პოლიცია უნდა შესულიყო ბინაზე და კარგადაც მოიქცა, რომ შევიდა. ბინაზე მართლა აღმოჩნდნენ დეპუტატები, მაგრამ იქ გარეშენიც იყვნენ, სულ 31 კაცი. ამათ აღმოაჩნდათ სახელ-გამტეხი საბუთები. დეპუტატებს პოლიციამ წინადადება მისცა, ხომ არ მოისურვებენ თითონვე სთქვან, რა მოეპოვებათ და რა აქვთ შენახული. ზოგნი დასთანხმდნენ, ზოგმა კიდევ უარი სთქვა. არავითარი ძალმომრეობა არ მომხდარა და ჩხრეკის გათავებამდე ყველანი ბინაზე დარჩნენ. პოლიციის გასამართლებლად უნდა ვთქვა, რომ მეორე დღეს მოხდა დამატებითი ჩხრეკა პოლიციისა და გამომძიებლების მხრივ. აღმოჩნდა, რომ დეპუტატ ოზოლის ბინას კავშირი აქვს სამხედრო-სარევოლიუციო ორგანიზაციასთან, რომელსაც აზრადა აქვს ჯარის აჯანყება. უნდა პირდაპირ ვსთქვა, რომ პოლიცია შემდეგშიაც ასე მოიქცევა (ტაში მარჯვნივ) უკანონო არა მომხდარა. თუ წვრილმანი რამ მოხდა, შემდეგ გამოირკვევა უნდა ვთქვა, რომ ჩვენ ვალად გვაძევს დეპუტატთა ხელ-უხლებლობის დაცვის გარდა, საზოგადოებრივ უშიშროების დაცვაც. ჩვენი მოვალეობა ვიცით და ბოლომდე შევასრულებთ. ახლაც მთელი რუსეთის წინაშე ვაცხადებ, რომ პოლიცია ისევე მოიქცევა საერთო ხმების დროს, როგორც აქამდე იქცეოდა და სამოსამართლო უწყებაც თავის მოვალეობას შეასრულებს და დამნაშავეთა აღმოჩენას შესძლებს (ტაში).

სალტიკოვმა ს.-დემ. სახელით მოითხოვა შეკითხვის ეხლავე განხილვა და სთქვა, მთავრობას უნდა რაც შეიძლება მეტი დეპუტატები შეიპყროს და სათათბიროს მოქმედება შეაჩეროს.

სტიშინსკიმ და მანდელბერგმაც მოითხოვეს შეკითხვის ეხლავე განხილვა.

სათათბირომ ხმის უმეტესობით დაადგინა, შეკითხვა ეხლავე განიხილოს.

ბობრინსკიმ სთქვა, მემარცხენეთა ყოფაქცევის შემდეგ სხდომის დაწყებისას, მემარჯვენეებს არ შეუძლიანთ გულ დამშვიდებით განიხილონ საქმე ორიოდე საათით რამდენიმე კაცის გაჩერების შესახებ, იმ კაცებისა, რომელთაც დაივიწყოს თავიანთი ხელმწიფე (ტაში მარჯვნივ, ხმაურობა მარცხნივ).

თავმჯდომარემ სთქვა: უნდა გავახსენო სათათბიროს, რომ პირველ საკითხის შესახებ ფორმულა ერთხმად იქნა მიღებული (ტაში).

**მანდელშტერგმა და სტიშინსკიმ** აღნიშნეს პოლიციის მოქმედების უკანონობა, რომელმაც 37 დეპუტატის თავისუფლება 7 საათით შეზღუდა. ჩხრეკა მოახდინეს სამოსამართლო უწყების უდასტუროდ და სათათბიროს ნება დაურთველადაო.

შემდეგ ილაპარაკა იუსტიციის მინისტრმა. მან სთქვა: სამოსამართლო უწყებაც პირველ ხანს ჰფიქრობდა, რომ პოლიცია უკანონოდ მოიქცა 6 მაისს ღამეს. მართალია, პროკურორის მიერ მიღებული ცნობები ვერ იყო დასაბუთებული. მაგრამ გამომძიებელმა მაინც დაიწყო საქმე, რადგან ოზოლის ბინაზე ისეთი ხალხი დადიოდა, რომელსაც კავშირი აქვს სამხედრო ორგაზიციასთან. პოლიციამ მხოლოდ ნახევარი საათით დაიგვიანა, რომ არ დაეგვიანებინა უსათუოდ შეიპყრობდა დამნაშავეებს. შემდეგ მინისტრმა სთქვა, რომ პოლიციას კანონი არ დაურღვევიაო. საქმის გადადება არ შეიძლებოდა, რადგან ოზოლის ბინაზე დადიოდნენ გადაცმული სალდათები. ეს სალდათები ეკუთვნიან ისეთ წრეს, რომელსაც აზრად ჯარის აჯანყება აქვს. პოლიციის ცნობებით, 5 მაისს ოზოლის ბინაზე უნდა მომხდარიყო სამხედრო ორგანიზაციის და სახ. სათათბიროს ერთი ფრაქციის წარმომადგენელთა შეერთებული სხდომა (მარცხნივ გაისმა: „სიცრუვეა“). გთხოვთ, სიტყვა „სიცრუვე“ სთქვათ მაშინ, როცა მას რაიმე კავშირი აქვს მინისტრის სიტყვებთან. შემდეგ მინისტრმა კიდევ განაგრძო სიტყვა და, სხვათა შორის, განაცხადა: გამოძიებამ გამოარკვია, რომ სათათბიროს ერთის ფრაქციის სახელით აძლევენ კვიტანციებს ცალკე მედუქნეებს ბოიკოტის მოხსნის შესახებ და იღებენ ამაში ფულს. (მარჯვნივ: „სირცხვილი“, „დამნაშავენი“) მინისტრმა დასასრულ სთქვა, რომ უკანონობა არა მომხდარა რაო. (ტაში მარჯვნივ).

შირსკის აზრით პოლიცია უკანონოდ მოქმედებდა.

იზმაილოვმა ილაპარაკა იმ შიშზე, რომელიც მან გამოსცადა, როცა ჟანდარმმა დააპატიმრა. დაუმატა, რომ ხალხი ძლიერ გულ-ნაკლულია სათათბიროზე, რადგან დღემდი მან ვერაფერი გააკეთა და ამაში დამნაშავე მთავრობააო.

შულგინის აზრით, თუ ამნაირი ამბები განმეორდა, მაშინ რუსეთის საუკეთესო შვილები პოლიციელებად შევლენ. მან მემარჯვენეთა სახელით კაბინეტს მხურვალე მადლობა გამოუცხადა, რადგან ეს გაჩხრეკა მოხდა ბოროტ განზრახვის სისრულეში მოყვანის წინად. შეიძლება განმეორებულიყო სვეაბორგის და კრონშტადტის ამბები და ამას, ვინ იცის, 1 მარტიც მოჰყოლოდა. მაგრამ მე ერთი რამ ვერ გამიგია, რის გამოც არ შემიძლია კაბინეტს არ ვუსაყვედურო. რისთვის, ან რა დიდი ცოდვისთვის გვაიძულებენ ჩვენ, რუსეთის მოქალაქეთ, მეფის ერთდგულთ, ვისხდეთ (ხელი მარცხნივ გაიშვირა) ამ კომპანიასთან (ხმაურობა).

თავმჯდომარემ ორატორს წეს-რიგი გაახსენა.

პოკროვსკიმ სთქვა: მთელი ქვეყანა გარევოლიუციონერებულია, გარდა მინისტრებისაო. მან მოითხოვა შეტანილ იქმნას საკითხი იმის გამოსარკვევად, ვინაა გარევოლიუციონერებული, ჩვენ—მემარცხენეები, თუ მინისტრები.

ხვოსტის აზრით, შეკითხვა უსარგებლო იქნება. ხალხი მინისტრების პასუხებიდან შეიტყობს, რომ სათათბიროს არაფერი არ შეუძლიან და შეიძლება ამ გარემოებამ ხალხის აჯანყებაც გამოიწვიოს (მარჯვნივ ძლიერი ხმაურობა).

ბობრინსკი: ორატორს მე-38 მუხლი გაახსენა. თავმჯდომარე: 38 მუხლით სარგებლობა თავმჯდომარის საქმეა.

კრუპენსკი: რამდენადაც საქმე აიწეწება, მით უფრო უკეთესია. შეიძლება მთავრობამ გამოიღვიძოს და სათათბირო გარეკოს.

კრასნოვსკიმ იკითხა: რა მიზეზია, რომ ის ამ სკამზე მჯდომნი, რომელნიც წეღან სხვაგან იყვნენ, ასე თავგამოდებით იცავენ სათათბიროს პატივსა? სად იყვნენ მაშინ, როცა აქ ლაპარაკობდნენ იმ კაცის ძვირფასს სიცოცხლის განსაცდელის შესახებ, რომლის წყალობითაც ჩვენ აქა ვართ შეკრებილნი. (ძლიერი ტაში) შემიძლია მხოლოდ ვსთქვა, რომ დიდება და პატივი პოლიციელებს, რომელთაც წმიდად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა და ახლაც მზად არიან ძირიანად ამოაგდონ „კრამოლა“ (ტაში).

სალტიკოვმა დაამოწმა, რომ როცა პოლიცია მივიდა ოზოლის სახლში, არავითარი კრება არა ყოფილაო.

ოზოლმა სთქვა, რომ ჩემ ბინაზე არავითარი საწინააღმდეგო კრება არა ყოფილა. რა ჩემი ბრალია, თუ ვინმე შემთხვევით ან საქმისა გამო და ხანდისხან მოულოდნელად გადაცმული კაციც შემოვა ჩემ „სახლშიო“.

ბერეზინის აზრით სათათბიროს წევრები ამ შემთხვევაში გარეშე პირების როლს თამაშობენ, ადმინისტრაცია—ბრალდებულისას და შეურაცხყოფილი წევრები კი—ბრალმდებელისას. ჩვენ, როგორც მიუდგომელი პირები, უნდა ვაღიაროთ, რომ ერთად ერთი ხსნა—სასამართლოა. ჩვენი უნდობლობა იუსტიცია მინისტრისადმი ჩვენი ბრალი არ არის, მთავრობის ბრალია. როცა გურკოს ოინები პირველად გამომჟღავნდა, მთავრობამ საქმის განმარტება გამოსცა, რომელიც ახლა ყველასაგან ყალბად არის ცნობილი.

კამათი გათავდა. შეკითხვა ხმის უმეტესობით მიღებულ-იქმნა.

შემდეგ იუსტიციის მინისტრმა ილაპარაკა ალგაჩის სატუსაღოში პოლიტიკურ პატიმართა წვალების შესახებ შეკითხვაზე. გამოძიებამ გამოარკვია, რომ აკუტუის სატუსაღოში თვით ადმინისტრაციამ დაარღვია ტუსაღებისათვის დაწესებული დისციპლინა: მძიმე დამნაშავე ტუსაღებს, რომელთაც სიკვდილით დასჯა კატორგად შეეცვალათ, ქალებთან ერთად ყავის მოყრის ნება მისცა: იმათ დააარსეს თავისი კომუნა, სამზარეულო, დუქანი და სხვა. ტუსაღებმა უფროსების მორჩილება უარჰყვეს; გახშირდა სატუსაღოდან გაქცევა. 1906 წ. ბოლოდან აკუტუის სატუსაღო ძლიერ ავსებული იყო: 84 კაცის ადგილზე 150 იყო იქ დამწყვდეული; ადმინისტრაციამ შესაფერი განკარგულება მოახდინა ამ საქმის მოსაწესრიგებლად და დისციპლინის დასამყარებლად. გადასწყვიტეს ქალები მილცევის სატუსაღოში გადაეყვანათ.

გამოძიებამ დაამტკიცა, რომ აკუტუის სატუსაღოში შემოღებულ ახალ რეჟიმს, ტუსაღების სხვა-და სხვა სატუსაღოებში დანაწილებას, რამაც ტუსაღების პროტესტი გამოიწვია, ჯარაჯების მხრივ ძალმომრეობა არ მოჰყოლია ალგაჩის სატუსაღოში წესისამებრ ტუსაღებს გძელ თმებსა ჰკრეჭდენ. ტუსაღმა შტილმანმა თმის გაკრეჭაზე უარი სთქვა. იგი ძალით დასვეს სკამზე და გაკრიჭეს. როცა იმას საცვალი და ტანისამოსი მისცეს, ჩაცმა არ ისურვა. მაშინ პერანგი და ხალათი ჩააცვეს და სატუსაღოში გაგზავნეს. გზაში, რადგან იგი ჯიუტობდა და არ მიდიოდა, სალდათმა მსუბუქად ჰკრა თოფის კონდახი. შტილმანის შემდეგ გაკრიჭეს და ტანისამოსი ჩააცვეს 14 ტუსაღს. არავისთვის არ უცემიათ; მხოლოდ თმის გაკრეჭის [illegible] ძალით ჰკრეჭენ თმას. ტანისამოსის გამოცვლა იმიტომ იყო საჭირო, რომ ძველ ტანისამოსში ტუსაღები ინახავდენ ფულს და ყალბ პასპორტებს. ალგაჩის სატუსაღოს ბოროდულინის წინააღმდეგ იმიტომ იყვნენ ტუსაღები განწყობილნი, რომ იმან სატუსაღოში კანონიერი წესები შემოიღო: როცა შედიოდა, თხოულობდა, რომ ტუსაღები ამდგარიყვნენ და ქუდი მოეხადათ, რასაც ისინი არ ასრულებდნენ. ამისათვის იმან დაპატუსაღა რიბნიკოვი, რამაც იმის ამხანაგებს შორის შფოთი გამოიწვია.

## შეთქმულება ხელმწიფის წინააღმდეგ

**მთავრობის განცხადება.**

სახელმწიფო სათათბიროს 7 მაისის სხდომაზე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ შემდეგი გამოაქვეყნა:

«ამა წლის თებერვალში, საზოგადოებრივ წესიერების დამცველ პეტერბურგის განყოფილებას მოუვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ სატახტო ქალაქში შესდგა ბოროტგამზრახველი საზოგადოება, რომელსაც მახლობელ საგნად დაისახა ტერრორისტულ აქტების მოხდენა. ამ ცნობის გამოსაძიებლად და გამოსარკვევად დაწესებულ იქმნა ხანგრძლივი და ფრიად გაძნელებული თვალყურის გდება, რომელმაც მართლა აღმოაჩინა ერთი ჯგუფი; ეს ჯგუფი შედიოდა ზემოდ აღნიშნულს საზოგადოებაში და ამის წევრებთან პირდაპირი დამოკიდებულება ჰქონდა. გამოირკვა, რომ ამ პირთ ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთში და ხვდებოდნენ ერთმანეთს საიდუმლო ბინებზე, რომელთაც ხშირად იცვლიდნენ. 31 მარტს შეთქმულთა ჯგუფი, 28 კაცისაგან შემდგარი, პოლიციამ დაატუსაღა. 4 აპრილს წესიერების დამცველ განყოფილებამ გადასცა პეტერბურგის სამოსამართლო პალატის პროკურორს ის საბუთები, რომელთა ძალით დატუსაღებულ იქმნა ოცდა-რვა კაცი. თავის მხრივ პალატის პროკურორმა ამ ცნობებიდან ის დასკვნა გამოიყვანა, რომ ალბად ყოფილა მთავრობის წინააღმდეგ საზოგადოება, რომელსაც აზრად ჰქონია რუსეთში მართვა-გამგეობის წეს-რიგის შეცვლა (102 მუხ. სისხ. სამართ.), ამიტომ იმავ 4 აპრილს პროკურორმა წინადადება მისცა პეტერბურგის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებელს შესდგომოდა საწინასწრო გამოძიებას, რაც დაუყონებლივ ასრულებულ იქნა. გამოძიება სწარმოებს სამოსამართლო პალატის პროკურორის ხელმძღვანელობით. ჯერჯერობით გამოძიებით დამტკიცდა, რომ დაპატიმრებულთაგან ბევრნი ეკუთნიან ს.-რევოლიუციონერთა საზოგადოებას, რომელ-

---

ქი და ტერიტორია, რომელთაც საკუთარი კულტურულ სამეურნეო ან ეროვნულ-პოლიტიკური ელფერი ჰქონდათ, თხოულობდა საკუთარ დაწესებულებებსა და იურიდიულ-სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას.

როგორც ზევით ვთქვით, დიდი და ცენტრალისტური სახელმწიფოები ხშირად ისეთ ტერიტორიებისგან შესდგებოდნენ ხოლმე, რომელნიც ერთმანეთისაგან ან კულტურით განსხვავდებოდნენ, ან ეროვნებით, ასეთ სახელმწიფოებში ასსიმილიაცია ეხებოდა მხოლოდ საზოგადოების მაღალ კლასსებს, დაბალი კლასები კი თავგამოდებით იცავდნენ და ინახავდნენ თავიანთ ეროვნებას, სახელმწიფო კი მათთვის სულ არ ზრუნავდა. ვიდრე სანამ ამ კლასსებს არავითარი გავლენა არ ჰქონდათ სახელმწიფოს ბედიღბალზე და მართვა-გამგეობაზე, იმ დრომდე საკითხი ეროვნულ ტერიტორიების შესახებ გამწვავებული არ იყო ხოლმე, მაგრამ საზოგადოების დემოკრატიზაციის განვითარებასთან ერთად უნდა განვითარებულიყო დეცენტრალისტური მისწრაფებანი, რომელნიც ავტონომიასა და ფედერაციაში პოულობდნენ განხორციელებას.

როგორც ეხლა ვხედავთ, ისეთ სახელმწიფოებში არსებული ლტოლვილება დეცენტრალიზაციისკენ, რომელნიც შესდგებიან სხვა და სხვანაირ ერებისგან და კულტურებისგან, ამ ჟამად არ შეიძლება შემთხვევით მოვლენად ჩაითვალოს. შემდეგში ჩვენ ვნახავთ, რომ ფედერალისტურ იდეის თავის განვითარებისთვის საჭირო ნიადაგი აქვს ისეთ სახელმწიფოებშიაც, რომელნიც შედარებით ერთ რომელიმე ეროვნებისგან შესდგებიან, მაგრამ ამასთან მისი კუთხეები და ცალკე ოლქები შესამჩნევად განსხვავდებიან ერთმანეთისგან კულტურულად და ეკონომიურად.

### II.

ჩვენ ვხედავთ, რომ თანამედროვე კაპიტალიზმი სავსებით ეგუება სახელმწიფოს ცალ-ცალკე კუთხეთა ავტონომიასა და ფედერალიზმს, და რომ დეცენტრალისტურ, ავტონომიურ და ფედერალისტურ დაწესებულებათა განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოების დემოკრატიზაციასთან.

ეხლა განვიხილოთ მნიშვნელობა ფედერალიზმისა, მისი გავლენა საზოგადოებაზე და საზოგადოდ პოლიტიკაზე და გამოვარკვიოთ, თუ რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს მასთან მუშათა კლასსა და უფრო კი სოციალისტურ პარტიებს.

ზემოდ ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ და აღვნიშნეთ ის აზრი, რომ ერთნაირი კანონმდებლობა არ შეეფერება ისეთ დიდ სახელმწიფოს ინტერესებს, რომლის სხვა და სხვა კუთხე ერთმანეთისაგან განსხვავდება კულტურულად, ეკონომიურად, პოლიტიკურად და ეტნოგრაფიულად. ამ შეუფერებლობას ცხოვრებაში ძალიან ხშირად უჩენია თავი. ერთმა ცენტრალურმა პარლამენტმაც რომ მოინდომოს სხვა და სხვა ოლქისთვის სხვა და სხვა კანონის გამოცემა, იგი ამას მაინც ვერ მოახერხებდა.

ამა თუ იმ ტერიტორიის საჭიროების შესაფერი კანონი შეიძლება გამოსცეს მხოლოდ ისეთმა კრებამ, სადაც მონაწილეობას იღებენ ამ ტერიტორიის წარმომადგენელნი. დიდ სახელმწიფოებში კი დეპუტატთა უმრავლესობას არას დროს არ ეცოდინება ყველა კუთხისა და ოლქის საჭიროება იმდენად დაწვრილებითა და ზედმიწევნით, რომ ყოველ ოლქისა და კუთხისთვის შესაფერი კანონები გამოსცეს. ამიტომ ცენტრალურ პარლამენტს უნდა დაეთმოს მხოლოდ საზოგადო, საერთო სახელმწიფოებრივი საქმეები: სამხედრო, დიპლომატიური, სავაჭრო ბაჟები და ხელ-შეკრულებანი, სატელეგრაფო, საფოსტო და რკინის გზების კანონმდებლობა, დანარჩენი საქმეები კი უნდა ადგილობრივ წარმომადგენლობას დაეთმოს.

დიდ სახელმწიფოების ფედერატიულად მოწყობის აუცილებლობასა დასარგებლობას ისიც ამტკიცებს, რომ ხალხის ყველა ჯგუფებსა და კლასებს დეცენტრალურ სახელმწიფოში უფრო ადვილად შეუძლიან პოლიტიკაში ჩარევა, ე. ი. საზოგადოებრივ საქმეების თვალ ყურის გდება, ვიდრე ცენტრალიზმის დროს. ცენტრალური პარლამენტი დიდსა და ცენტრალისტურ სახელმწიფოში იმდენად მრავალსა და რთულ საქმეებს განაგებს, რომ მათი გარჩევა, აწონ-დაწონვა და ყურისგდება შეუძლიან მხოლოდ ძალიან განვითარებულსა და ნასწავლ კაცს. საქმე ძალიან ადვილდება ფედერატიულ და ავტონომიურად მოწყობილ სახელმწიფოებში, სადაც ადგილობრივი წარმომადგენლები განაგებენ ყველა ადგილობრივ საქმეს: ასეთ წეს-წყობილების დროს ხალხს ადვილად შეუძლიან საქმეების თვალ-ყურის გდება და კონტროლის გაწევა. ადგილობრივ კრებებზე პოლიტიკური ბრძოლა უფრო მარტივია, ვიდრე ცენტრალურ სახელმწიფოებში, ამიტომ ხალხიც ადვილად იგებს მას და მალე იწვრთნება. ფედერატიულად მოწყობილ სახელმწიფოში საზოგადო სახელმწიფოებრივ საქმეებსაც ხალხი უფრო მალე იგებს და ადვილად ეჩვევა, ვიდრე ცენტრალისტურ სახელმწიფოში. ეს იმიტომ ხდება, რომ საქმეების რიცხვი მცირდება და მარტივდება.

მართალია, ფედერატიულ სახელმწიფოში ერთი შტატის საქმეები თითქო გამოყოფილია მეორე შტატის საქმეებისაგანაო, მაგრამ ნამდვილად ეს ასე არ არის: ვისაც სურს და შეუძლიან პოლიტიკის თვალ ყურის გდება და ვინც იცნობს მას, ის ფედერატიულ სახელმწიფოს ყოველ კუთხის პოლიტიკასაც კარგად ადევნებს თვალ-ყურს, ხოლო ისინი, ვისაც პოლიტიკისა არა ესმით-რა მათ ქონებრივ მდგომარეობისა, განუვითარებლობისა და სხვა რომელიმე მიზეზისა გამო, ვერც ცენტრალისტურ სახელმწიფოში გაიგებენ რასმეს. ფედერატიულ სახელმწიფოში იმათ ის მაინც იციან და იმას მაინც ხედავენ თავიანთ თვალ-წინ, რაც ხდება იმათ სამშობლოში.

გარდა ამისა ფედერატიულ სახელმწიფოში უფრო ადვილია რეფორმების მოხდენა ცალ-ცალკე ოლქებსა და შტატებში მაინც, ვიდრე ცენტრალურ სახელმწიფოში, სადაც რომელიმე რეფორმის შემოღებას რაიმე მნიშვნელობა ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა მისი ნაწილები ერთ განვითარების საფეხურზე დგანან. ცხადია, რომ ფედერალიზმი ხელს უწყობს რეფორმების მოხდენას თუ მთელ სახელმწიფოში ერთად არა, მის ცალ ცალკე კუთხეებში მაინც. გარდა ამისა, ფედერატიულ სახელმწიფოში ადვილად შეიძლება ამა თუ იმ სოციალურ-პოლიტიკურ რეფორმების გამოცდა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან პატარა ტერიტორიაზე მათი გამოცდა უფრო ადვილია, ვიდრე დიდ ტერიტორიაზე.

ზემო დასახელებულ მოსაზრებათა უარსაყოფლად ცენტრალისტებს შეუძლიანთ ასეთი საბუთები წარმოადგინონ: მართალია, იტყვიან ისინი, ფედერაციაში იმ შტატებს ან ოლქებს, რომელნიც კულტურულად და ეკონომიურად მაღლა დგანან, უფრო ადვილად და სწრაფად შეუძლიანთ განვითარება, ვიდრე სხვა ოლქებს; მაგრამ ცენტრალისტური სახელმწიფო ასეთ ოლქების განვითარებას განგებ აფერხებს და სამაგიეროდ ჩამორჩენილ ოლქების განვითარებას აჩქარებს, მაშასადამე ცენტრალიზმი სჯობია ფედერაციასო. ასეთი საბუთი შეუწყნარებელი და სუსტია. ყოველი ოლქი და ტერიტორია უნდა განვითარდეს ისეთ საზოგადოებრივ ძალთა განწყობილების გავლენით, როგორიც არის ამ ტერიტორიაზე. ისევ ისა სჯობია, რომ იმ ტერიტორიაზე, სადაც საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება კონსერვატიულია, დაწესებულებებიც კონსერვატიული იყოს, ვიდრე კონსერვატიულ დაწესებულებათა შენარჩუნება იმ ტერიტორიაზე, სადაც ძალთა განწყობილება პროგრესიულია. არეულ სახელმწიფოში ცენტრალისტური წყობილება ხელს უწყობს ერის გაბატონებას და მხოლოდ მის კულტურას აქვს გასავალი, ფედერაცია კი უზრუნველყოფს ყველა ეროვნების თავისუფალ განვითარებას. ცენტრალისტურ სახელმწიფოში მარტოოდენ ენის თავისუფლება სკოლებსა და სასამართლოებში არ უზრუნველჰყოფს ცალკე ერების კულტურულ განვითარებას. ეს იმიტომ ხდება, რომ ასეთ სახელმწიფოში ყოველ თანასწორობის დარღვევა ძალიან ადვილი საქმეა ხოლმე. ფედერაციაში კი ძირითად კანონების შეცვლა ასე ადვილი არ არის, რადგან მისი შეცვლა და შესწორება შეიძლება მხოლოდ შტატებისა და ავტონომიურ ოლქების თანხმობით და არა მარტო ცენტრალურ პარლამენტის სურვილით.

ცენტრალისტური წყობილება ყოველთვის ხელს უწყობს სახელმწიფოს ამა თუ იმ ნაწილის წინ წამოყენებას დანარჩენ ნაწილთა საზარალოთ, რაიც ხშირად ხდება სხვა და სხვა ერებით დასახლებულ სახელმწიფოში.

(დასასრული იქნება)

საც მიზნად დაუსახავს ხელმწიფე იმპერატორის, დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოკვლა. ამასთანავე ამ საზოგადოების წევრები საშუალებას ეძებდნენ, როგორმე იმ სასახლეში შესულიყვნენ, სადაც სცხოვრობს ხელმწიფე იმპერატორი, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს».

## ახალი ამბავი

✦ **უბნის ზედამხედველისა და უცნობ კაცის მოკვლა.** 7 მაისს, საღამოს 7 საათზე, ელისაბედისა და ნეკრასოვის ქუჩების შესართავთან „ვერსალის სასტუმრო"-ს გვერდით ვიღაც უნობმა რევოლვერი ესროლა და იქვე ქვაფენილზე მოჰკლა მე-9 საპოლიციო ნაწილის უბნის ზედამხედველი კუზნეცოვი. ამის შემდეგ უცნობი ნეკრასოვის ქუჩით გაიქცა, ჩაუხვია ნიკოლოოზის მოედნისაკენ, და შემდეგ არსენალის ქუჩისაკენ გაექანა. უცნობს წინ დაჰხვდა კავკასიის მე-4 მსროლელთა ბატალიონის აფიცერი სკურიგინი, რომელმაც რევოლვერით ხელში განიზრახა უცნობის შეპყრობა. უცნობმა დაასწრო, რევოლვერი ესროლა, სკურიგინი გვერდში დასჭრა და გაიქცა. აფიცერს მიეშველნენ გოროდოვოი კუსრაშვილი და სხვა პოლიციელნი და უცნობს თოფებისა და რევოლვერების სროლით გამოუდგნენ. პოლიციის გამოძიებით, კუზნეცოვის მკვლელს დაეწივნენ და მოჰკლეს. მოკლული, პოლიციისავე ცნობებით, აღმოჩნდა ტფ. მცხოვრები გიორგი ივანაშვილი. მოკლულ კუზნეცოვისა და ივანაშვილის გვამები მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. საავადმყოფოში წაიყვანეს დაჭრილი აფიცერი სკურიგინი. სროლამ ხალხი, რასაკვირველია, დააფრთხო.

✦ **ასოთამწყობების დაპატიმრება.** 7 მაისს, დილის 9 საათზედ, მარტიროსიანცის სტამბაში პოლიციამ დააპატიმრა ასოთამწყობები, იმანუგიანცი, კ. გალუსტიანი, ე. მიკანტირკო, პ. ივანოვი და ს. ოსეფიანცი.

✦ **სტამბის დაკეტვა.** ქრ. ხაჩატუროვმა თავისი სტამბა დაკეტა და გაზეთ „ტიფ. ლისტოკის" ბეჭვდა სხვა სტამბაში გადაიტანა. სტამბის დაკეტვის მიზეზი, როგორც ამბობენ, მუშების გაფიცვაა.

✦ **ტიპი მომავალ უმაღლეს სასწავლებლისა.** ორშაბათს, 7 მაისს, ნამესტნიკის საბჭოს დარბაზში სტრატონოვის თავმჯდომარეობით მოხდა კავკასიაში უმაღლეს სასწავლებლის დამაარსებელ კომიტეტის სასწავლო კომისიის სხდომა მომავალსასწავლებლის ტიპის გამოსარკვევად. კომისიის დადგენილებით, უნდა დაარსდეს შერეულის ტიპის სასწავლებელი. კომისიის ერთმა ჯგუფმა საჭიროდ სცნო სასწავლებელს დაერქვას „კავკასიის უმაღლესი სკოლა", მეორემ—„კავკასიის პოლიტეხნიკუმი საუნივერსიტეტო განყოფილებით" და მესამემ—„კავკასიის უნივერსიტეტი სატეხნიკო განყოფილებით". ხმის უმეტესობით კომისიამ მიიღო უკანასკნელი სახელწოდება.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** სიმხედრო საოლქო სამართალში მისცეს გორის მაზრის სოფ. საქაშეთის მცხოვრები იოსებ ჯანეშვილი, რომელსაც ჰბრალდება ხიდისთავის მცხოვრების ალ. დავითაშვილის სახლზე თავდასხმა და გაძარცვა. ვიატკის გუბერნიაში სამი წლით იგზავნება ნიკ. ტოტაშვილი. საგ.-გუბერნატოროდან ეტაპით იგზავნებიან: ა. ოლოხნევიჩი, ი. იაგოტინცევი, მამედ აღა-ოღლი, აღამურსკილოვი და გიგო ულუმბეგაშვილი. დაიკეტა იარმუკაზე სასტუმრო „ივერია".

✦ **საბჭოს სხდომა.** ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომა 7 მაისს დაიწყო ხმოსნების საყვედურით, საარჩევნო სიები ასეთის შეცდომით რად შეადგინეთო. შემდეგ ხმ. ბაბოვმა სთხოვა გამგეობას, დააჩქარეთ ხარჯთ-აღრიცხვის პროექტის შემოტანა. ამას გარდა კარგი იქნება ხმოსნები შეკრიბებოდნენ, თუ როგორ დაიფაროს ქალაქის დეფიციტიო. საბჭომ 500 მან. დაუნიშნა მაჰმადიანთა სკოლას, რომელიც დაუარსებია ქ-ნ ასპიროვისას.

✦ **ორი კაცის დახრჩობა.** ქსანიდან როგორც გვატყობინებენ, ქსანსა და კასპს შუა შემდეგი უბედურება მომხდარა: სოფელ კავთისხევის პირდაპირ ხალხი მტკვარზე ნავებით გადადის. 3 მაისს, ორი მგზავრი ჩამჯდარიყო ნავში. შუა წყალში ნავი გადაბრუნებულა. დამხჩვალა ერთი მენავე და ერთიც კირილე მექანარაშვილი. ერთმა მგზავრმა და მეორე მენავემ გასცურეს ნაპირს.

✦ **ლექციის აღკრძალვა.** კვირას, 6 მაისს, ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში სომხურ ენაზე ლექცია „გადასახადები დასავლეთ ევროპაში" გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით არ იქმნა წაკითხული. რუსულ ენაზე ლექციას ხალხი ბლომად დაესწრო. საზოგადოდ, ლექციების გამმართველი კომიტეტი მეტად უხერხულ მდგომარეობაშია იმის გამო, რომ ნებართვის შესახებ პასუხი გვიან მოსდის და აფიშების დაბეჭდვასა და გაზეთში გამოცხადებას ვერ ასწრობჯნ.

✦ **„მუშათა საქმე".** ტფილისში არსდება ახალი ამხანაგობა ნდობაზე დაფუძნებული ამ სახელით „მუშათა საქმე". ამხანაგობას აზრად ექნება იაფ-ფასიან ჟურნალ-გაზეთების და ბროშურების გამოცემა როგორც რუსულსა და ისე ადგილობრივ ენებზე, სამკითხველოს დაარსება და სხვა. პროექტი ახალ ამხანაგობისა ინიციატორმა ნ. მანთაშევმა დასამტკიცებლად წარუდგინა ქალაქის გამგეობას. გამგეობამ პროექტი უკანვე დაუბრუნა მანთაშევს და გამოუცხადა, რომ ამისი დამტკიცება ჩვენი საქმე არ არისო.

✦ **ადელხანოვის ქარხანა.** ადელხანოვმა გაალო ტყავეულობის ქარხანა, ხოლო სრულიად გააუქმა ქეჩისა და ფეხსაცმელების ქარხნები. დათხოვნილი მუშები, 110 კაცი, ჯერ ისევ დაუკმაყოფილებელნი არიან.

✦ როგორც აღვნიშნეთ ელისაბედისა და მუშტაიდის ქუჩების შესართავთან ვიღაც უცნობმა დასჭრა რევოლვერით პატრიოტულ საზოგადოების წევრი. დაჭრილი აღმოჩნდა ნიკოლოოზ პერუშკინი.

✦ მივიღეთ ახალი ქართული წიგნი: „შვილი უდანაშაულოდ დასჯილისა", დრამა ნატალია რ. გიგაურისა.—ფასი 30 კაპ.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ ქალაქის გამგეობამ სხვაგან რომ ვერსად მოახერხა ფულის სესხება უსაჭიროეს ხარჯების დასაფარავად, ყურადღება მიუქცევია იმ თანხას, რომელიც გადადებულია ქართულ გიმნაზიის შენობის ასაგებად. სამზრუნველო კომიტეტს ამ საგანზე ჰქონია სჯა და რა მიუღია მხედველობაში ის, რომ ფული თავად-აზნაურობის ხელშია, ფულის სესხების შესახებ ვერა გადაწყვეტილებას ვერ დასდგომია. არ ვიცით, მოახერხებს თუ არა ქალაქის გამგეობა ამ ფულის სესხებას, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ, რომ ამ ფულის გასესხება უხერხულია, რადგან შენობის აგების გადადება შეუძლებელია.

✦ ქუთაისის ქართულ გიმნაზიის გამგეს ბ-ნ ი. ოცხელს მოლაპარაკება ჰქონია სამასწავლებლო ოლქის უფროსთან წარმომადგენელის დანიშვნის შესახებ მე-4 და 6 კლასის მოწაფეების გამოცდის დროს და იმ დასკვნამდის მისულან, რომ წრეულს წარმომადგენლის დანიშვნა საჭიროებას არ წარმოადგენს.

✦ შავი ქვის მრეწველთა საბჭომ გადასდო გზების შესაკეთებლად 1000 მანეთი იმ პირობით, რომ სამუშაოთ მოწვეულ იქნან უადგილოდ დარჩენილნი.

✦ რა-კი ბრიანსკის ქარხანის წარმომადგენელმა პეტროკოვსკიმ უარი განაცხადა რგანის ხიდის აგებაზე, მრეწველთა საბჭომ გადასწყვიტა გაგზავნოს თავმჯდომარის მოადგილე კ. აბაშიძე, საბჭოს წევრი თ-დი ივანე ნიჟარაძე და ინჟენერი საპიცკი ტფილისში ამ საქმის გასათავებლად.

✦ ჭიათურის შტოს რევიზორი ა. სოლოვიევი, რომელიც ამასთან ითვლება იმ კომიტეტის თავმჯდომარეთ, რომელიც ვაგონებს ანაწილებს მრეწველთა შორის, გადაჰყავთ ტფილისში მიმოსვლის განყოფილების უფროსის თანაშემწედ. ზოგიერთ მრეწველს აზრადა აქვს იშუამდგომლოს, რომ სოლოვიევი ვაგონების განმანაწილებელი კომიტეტის თავმჯდომარედ დარჩეს.

✦ სვიმონეთის შავ-ქვას, მას აქეთ რაც მყიდველებმა მადნის ხარისხს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს, ფოთსა და ბათუმში აღარ ყიდულობენ.

✦ ამას წინად აღმოსავლეთ კავკასიიდან ჭიათურაში რამდენიმე კაცი მისულა, უნახავთ გზები და იმ დასკვნამდე მისულან, რომ ზაფხულობით ხელ-საყრელი იქნება მადნის ზიდვა ზესტაფონში აქლემებით. ეხლა, როგორც ისმის, მათ აზრადა აქვთ, შეიძინონ რამდენიმე ასი აქლემი და მადნის ზიდვას შეუდგნენ. ამჟამად ჭიათურიდან ზესტაფონში დიდძალი შავი ქვა მიდის ურმებით. ჭიათურის შტოს ტარიფი იმდენად დიდია, რომ ურმით მოტანილი მადანი ზესტაფონში და აქედან პირდაპირ ფოთში გაგზავნილი, უფრო იაფად ჯდება.

## რუსეთი

✦ **ტერრორისტულ მოქმედების მზადება.** პეტერბურგიდან დეპეშით აცნობებენ „რუს. სლ".ს, რომ ფინლიანდიის ქ. ტერიოსკსა და პეტერბურგში დატუსაღებულია 67 კაცი, რომელთაც ჰბრალდებათ დიდ მნიშვნელოვან ტერრორისტულ მოქმედებისათვის მზადება (იხ. ტელეგრაფის ცნობა).

✦ **სამხედრო მინისტრის განკარგულება.** პეტერბურგში ხმებია გავრცელებული, სამხედრო მინისტრი ამ მოკლე ხანში განკარგულებას გამოსცემს, რომლის ძალით დეპუტატ ზურაბოვს, რომელიც სათადარიგო ჯარის პრაპორჩიკად ითვლება, ეს ხარისხი ჩამოერთმევა.

✦ **ახალი სამინისტრო.** მინისტრთა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე საბოლოოდ გადაწყდა, რომ ფოსტა-ტელეგრაფი შინაგან საქმეთა უწყებას მოშორებულ იქნება და დაწესდება ფოსტა-ტელეგრაფის განსაკუთრებული სამინისტრო. შესაფერ კანონ-პროექტს სამინისტრო ამ დღეებში სათათბიროში შეიტანს.

✦ **საგანგებო დაცვა.** „ბირჟ. ვედ." ნამდვილ წყაროებიდან იუწყება: გადაწყვეტილია, რომ პეტერბურგსა და მოსკოვში 6 თვით განაგრძონ საგანგებო დაცვის წესების მოქმედება.

✦ **დეპუტატის ჟიგილოვის დატუსაღება.** პირველ მაისს პეტერბურგში ვასილის კუნძულზე უნდა მომხდარიყო მიტინგი, რომელზედაც მოწვეული იყო სათათბიროს დეპუტატი ვლადიმ. გუბერნიიდან სოციალ-დემოკრატი ჟიგილოვი. როცა ჟიგილოვი ადგილზე მოვიდა, მიტინგი უკვე გაფანტული იყო და დეპუტატი ზღვისკენ გაემართა გასასეირნებლად. იქვე მოსეირნე ხალხმა იცნო დეპუტატი და იმის 50-მდე კაცმა მოიყარა თავი. მალე გაჩნდნენ პოლიციელები. ყველას ჩხრეკა დაუწყეს, შემდეგ პოლიციის გამგეობაში წაიყვანეს ესენი, საიდანაც მხოლოდ ქალები და ბავშვები გამოუშვეს. დილის 5 საათამდის დეპუტატი ჟიგილოვი დანარჩენებთან ერთად დატუსაღებული იყო. იმის პროტესტს ყურადღება არ მიაქციეს. მხოლოდ დილას მოვიდა პროკურორის ამხანაგი, ჟიგილოვი გაანთავისუფლა, დანარჩენთა შესახებ კი სთქვა, მათი განთავისუფლება არ შემიძლია, რადგან საგანგებო დაცვის ძალით ეს გრადონაჩალნიკის საქმეაო.

## დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 მაისი

**ოდესსა.** 7 მაისს, დილის 9 საათზე, ბულვარის საპოლიციო ნაწილის ახლო, ჟუკოვსკის ქუჩაზე, ყუმბარა გადააგდეს. მოკლულია ბოქაული პანასოვი, რომელსაც ყუმბარამ ორივე ფეხი მოსწყვიტა. მძიმედ დაიჭრა ბოქაულის თანაშემწე პოლიანკევიჩი, უბნის ზედამხედველი, ორი პოლიციელი და ოთხი გარეშე პირი. აფეთქება საშინელი იყო. ბევრ სახლებში ფანჯრები და ჩარჩოები ჩაილეწა. პოლიცია დაედევნა ერთ გაქცეულ ბოროტ-მოქმედს და დაიჭირა. დაჭერილი ფეხსაცმელების მწმენდავი აღმოჩნდა, რომელმაც თავისი ვინაობა არ გაამხილა; მხოლოდ განაცხადა: ყუმბარა იმიტომ გადავაგდე, რომ დაპატიმრებულ ამხანაგების განთავისუფლება მინდოდაო.

**ვორონეჟი.** დამე საქონლის სადგურზე ქურდებმა ორი ვაგონი გასტეხეს. ჟანდარმმა მოუსწრო. ერთი მოკლულია, ორი დაპატიმრებული, მეოთხე მიიმალა.

**ბრესტ-ლიტოვსკი.** პრუჟანოვსკის და ბობრინსკის მაზრებში მოთარეშე მძარცვთა ბრბოს ერთი ნაწილი დაიჭირეს. შეტაკების დროს დასჭრეს ბრესტის ბოქაული კუჩინსკი.

**კიევი.** სოფ. მედვინაში ბროლიცკის ეკონომიას ცეცხლი წაეკიდა. დაიწვა სახლები და 11 ზარი. ზარალი 20,000 მანეთამდეა. იპოვნეს პროკლამაცია, რომელიც სიკვდილს ემუქრებოდა ყველას, ვინც გაბედავდა მემამულის სახლის ცეცხლის ჩაქრობას. გლეხებმა ცეცხლის ჩაქრობაზე უარი განაცხადეს.

**ვენა.** ოფიციალურის ცნობით ბრაც-მიშლიაში რეიხსტაგის არჩევნების შემდეგ შეიკრიბა 8000 კაცამდე, დემონსტრაცია მოახდინა და პოლიციელებს ქვები დაუშინა. ჩალეწეს ქუჩის ფარნები. ჯარის მოახლოვებაზე დემონსტრანტები მშვიდობიანად დაიმალნენ. მძიმედ დაიჭრა ექვსი დემონსტრანტი, მათ რიცხვში ერთი ქალი და ერთი გოგო. მსუბუქად დაიჭრა 21 პოლიციელი, ხოლო მძიმედ ორი.

რედაქტორ-გამომცემელი

**ივ. ი. მჭედლიშვილი.**


## განცხადებანი

საჭიროა ... ... ... ... ... ... მარგანეცის, სპილენძის, კაბალტის და ანტიმონის მადნიანი ადგილები, აგრეთვე სხვა ლითონიანი ადგილები და დიდი მუხის ტყეები, სადაც მადნებია. მსურველმა წერილობით უნდა მიმართოს ამ ადრესით:

Тифлисъ, Почтамтъ, почтовый ящикъ № 41. (3—79—1)

ტფილისის ქალაქის

### გამგეობა

აცხადებს, რომ იგი ქირით აძლევს ბორჯომში მებლით მორთულ ორ-სართულიან აბესალომოვისებურ სახლს, რომელიც დღეს ქალაქ ტფილისს ეკუთვნის. სახლი შეიცავს ოთხ ოთახს ზემოთა სართული და ხუთ ოთახს ქვემოთა თავის სამზარეულოებით და სხვა მოწყობილებებით. პირობების გაგება შეიძლება გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე, უქმე დღეებს გარდა, 11-დან 2 საათამდე. (3—6.—1)

**მხოლოდ** იმის წყალობით, რომ 25 წლის პრაქტიკა მქონდა და თვალყურს ვადევნებდი, უმაღლესს კულტურამდე განვავითარე **კეფირი.** ყველას შეუძლიან დარწმუნდეს, რომ

### კეფირი ო. კორონისა

კონკურენციის გარეშე. კარგის თვისებისთვის იგი მოწონებულია ტფილისის სამკურნალო განყოფილებისაგან და დაჯილდოვებული სამის მედალით სამს გამოფენაზე. მიღებული აქვს აგრეთვე მრავალი მადლობა მომხმარებელთაგან. **კეფირი** ჩემის სახელოსნოსი უმატებს სიმძმეს და გამოლეულ ძალას, აგრეთვე მკურნალობს: სისხლნაკლებობის, კუჭის კატარის, სიყვითლის, სურავანდის და ჭლექის დროს. ამშვიდებს ნერვებსაც.

ჩემ დაწესებულებაში შეიძლება მსურველმა მიიღოს

ლაქტობაცილინის რძე,

მომზადებული პროფ. მეჩნიკოვის საშუალებით.

5 აპრილიდან მზადდება

**კუმისი**

მსურველთ შეიძლება სახლში გაეგზავნოთ. ადრესი: ლორის-მელიქოვის ქ., სემინარიის პირდაპირ.

(50—ხალ.—6) პატივ. **ო. კორონა.**


## ანგარიშთა მდგომარეობა

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა.

1 აპრილს 1907 წელს.

აქტივი (აქცს).

| | | | |
|---|---|---|---|
| I. კასსა, ნაღდი ფული | | 5128 | 96 |
| II. სახელდახელო ანგარიში ქუთ. გან. აზ. დ. კ ბანკში | | 3097 | 78 |
| III. სარგებლ. ქაღალ. | | | |
| ა) სათადარიგო თანხ. ანგარ. მ. | 300,— | | |
| ბ) საზოგადოების ანგარ. „ | 702,50 | 1002 | 50 |
| IV. განაღდება თამასუქებისა, არა ნაკლებ ორის ხელის მოწერით | | 43322 | 50 |
| V. განაღდება სარგ. ქაღალდ. კუპონები და სხვა | | 3272 | 89 |
| VI. პროტ. წასული თამასუქ. (უზრუნ. ყოფ. თანხ. იხ. გ. პას.) | | 4986 | 28 |
| VII. სესხი გაც. გირავ. | | | |
| ა) სარგ. ქაღალდები უზრ. ყოფ. სარგ. „ | 160,— | | |
| ბ) სარგ. ქაღალდები არა უზრ. ყოფ. მთავ. მიერ „ | 12815,53 | | |
| გ) შავ. ქვაზ. „ | 24778,31 | 37753 | 84 |
| VIII. კორესპონდენტ. | | | |
| ა) იმათ. ანგარ. მ | 2775,96 | | |
| ბ) საზოგ. „ „ | 262,92 | 3038 | 88 |
| IX. გერბ. ქაღ. და თამ. | | 176 | 55 |
| X. გარდამავ. თანხ. | | 1777 | 54 |
| XI. მოწყობა-გამართვა საზოგად. | | 1922 | 83 |
| XII. მოვალ. საზოგ. | | 410 | 28 |
| XIII. ხარჯი დასაბრ. | | 138 | 14 |
| XIV. ზარალი 1905 წ. | | 313 | 13 |
| XV. მიმდინარე ხარჯი | | 1737 | 95 |
| **ბალანსი.** | | **108080** | **05** |

(მართებს) პასსივი.

| | | | |
|---|---|---|---|
| I. თანხა, რაიცა შესდგება 10% შემ. საწ. ფულით 208 წევრთა მიერ, მიცემულ ვალდებ. რაოდ. საზ. წინაშე | | 19090 | — |
| II. დასაბრ საწევრო ფული, თანახმად §§ 12 და 14 წეს. საზოგ. | | 208 | 29 |
| III. თანხა: | | | |
| ა) სათადარიგო მ. | 385,66 | | |
| ბ) ამორტიზაც. „ | 769,53 | | |
| გ) პროტ. წას. თამასუქების უზრ. საყ., შემდგ. 1906 წ. მოგებიდ. „ | 5119,23 | 6274 | 42 |
| IV. შემოტ. ფული: | | | |
| ა) სახელდ. ანგ. მ. | 38607,59 | | |
| ბ) ვადით „ | 17998,31 | | |
| გ) უვადოთ „ | 700,— | 57305 | 90 |
| V. განაღდ. თამას. საზოგ. მიერ ქუთ. განყ. აზ. დ. კ. ბანკში | | 3350 | — |
| VI. საგანგებო სახელ. ანგარ. უზრუნვ. ყოფილი სარგებ. ქაღალდ. | | 334 | 96 |
| VII. სესხი აღებ. საზ. მიერ შავი ქვის გირავნობით | | 10000 | — |
| VIII. კორესპონდენტ. | | | |
| ა) იმათის ანგ. (Loro) „ | 3309,80 | | |
| ბ) საზგ. ანგარ. (Nostro) „ | 2890,13 | 6199 | 93 |
| IX. გადასაგზ. შემოტ. ფული | | | |
| X. გარდამავ. თანხა | | 1822 | 77 |
| XI. სარგებელი გარდ. | | 189 | 59 |
| XII. 5% სახელ. გარ. | | — | — |
| XIII. წმინდა მოგება 1906 წ. | | 366 | 74 |
| XIV. შემოსული სარგებელი, გამოკლებით გასულისა | | 2937 | 45 |
| **ბალანსი.** | | **108080** | **05** |

თავმჯდომარე გამგეობისა **თავ. კ. გ. აბაშიძე.**
ბუღალტერი **სოფ. ტარუაშვილი.**

დირექტორები: { **თ. ვ. ჯაყელი.** **ა. ზ. გალუსტოვი**

სტამბა „იდეალი" (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.